



სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და  
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030669264961519

17 / მაისი / 2019 წ.

თბილისი #06-96/თ

**მოძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ**

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის, „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:**

1. სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონება საერთო ღირებულებით 34955,15 (ოცდაათოთხმეტი ათას ცხრაას ორმოცდათხუთმეტი ლარი და თხუთმეტი თეთრი) ლარი, თანდართული დანართის შესაბამისად გადაეცეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საჭიროებისათვის.
2. ცენტრი, ამ ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოძრავ ქონებას ბალანსიდან იხსნის ქონების გაცემის მომენტიდან.
3. ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული ქონების გადაცემასთან დაკავშირებით შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმონწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსს ზურაბ ზარიაშვილს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმონწერის დღიდან.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

**საფუძველი:**

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის გიორგი ნონკოლაურის 2019 წლის 14 მაისის № 01/8543 წერილი.

გენერალური დირექტორის მოვალეობის  
შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამდასმულია  
ელექტრონულად

პაატა იმნაძე